



ევროპასთან ასოცირების პროცესის
ხელშეწყობის ღონისძიებების თაობაზე

კონცეპტუალური ხედვა

ტრენინგი „ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი
დაახლოება“ (AA and Legal Approximation)

ეკატერინე ქარდავა
2018

ევროპასთან ასოცირების პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებების თაობაზე კონცეპტუალური ხედვა ჩამოყალიბდა ტრენინგის „ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოება“ ფარგლებში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებმა.

ავტორები

ტრენერი, ასოცირების შეთანხმების ექსპერტი, ევროკავშირის სამართლის სპეციალისტი
ეკატერინე ქარდავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები:

ალისა შერაზადიშვილი

ანანო ხვეიაშვილი

ანნა რუსიეშვილი

გრიგოლ ჩხაიძე

თამთა კიკოლაშვილი

თამარ მარგიშვილი

თეონა შიუკაშვილი

თემურ ეზუგბაია

ინგა ხიჯაკაძე

ირმა შუბითიძე

მარიამ ხუციშვილი

მიხეილ მელაძე

ნანა მუმლაძე

ნინო ჯავახია

ნინო მაისურაძე

ნანა სადუნიშვილი

სარჩევი

ზოგადპოლიტიკური ხედვა	<u>33</u>
ასოციირების შეთანხმების სტრუქტურულ-სისტემური გააზრება; DCFTA-ის როლი.....	<u>44</u>
სამართლებრივი დაახლოების პროცესის სრულყოფა.....	<u>66</u>
სამართლებრივი დაახლოების პროცესის ინსტიტუციონალიზაცია	<u>99</u>
საინფორმაციო საქმიანობა.....	<u>1010</u>

ზოგადპოლიტიკური ხედვა

2014 წელს, „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებამ (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“), საქართველოსა და ევროპულ კავშირს (შემდგომში ევროკავშირი) შორის დაამყარა ასოცირება. ამიერიდან ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი ჩანაცვლდა მხარეთა შორის ურთიერთობების გაღრმავებული ფორმატით - **ევროპასთან ასოცირების პროცესით**.

ევროპასთან ასოცირების პროცესი წარმოადგენს:

- ასოცირების შეთანხმებით, ასოცირების დღის წესრიგით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ყოველწლიური ეროვნული გეგმებით, ასოცირების საბჭოს, ასოცირების კომიტეტის, ასოცირების ქვეკომიტეტების გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ერთობლიობას;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოების/legal approximation (რომელიც მოიცავს დინამიური და ეტაპობრივი დაახლოების პრინციპებს) და ევროკავშირის ადმინისტრირების პრაქტიკასთან დაახლოების ერთობლიობას;
- ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოების, ვაჭრობის, მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის ზრდის პროცესს სოციალური კომპეტენციების აღიარებით.
- ისეთ პოლიტიკურ და საჯარო მმართველობას, სადაც ხალხის ნება, სახელმწიფო ორგანოების მოქმედება და რწმენა ურთიერთთანხვედრი, უწყვეტი, უცვლელი და რეალურად მხარდაჭერილია, რაზეც ზემოქმედებას ვერ ახდენს სახელისუფლებო ცვლილება.
- შედეგზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ წინსვლას, სოციალურ უსაფრთხოებას და თითოეული მოქალაქის ღირსეულ ცხოვრებასა და კეთილდღეობას.

ევროპასთან ასოცირების პროცესის წარმართვა საჭიროებს ძლიერ, შეუქცევად, სტაბილურ, ეფექტიან და კოორდინირებულ მართვას, **პირველ რიგში, - ასოცირების შეთანხმების ცოდნას და მის სწორ შემეცნებას**. პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს ასოცირების შეთანხმების (მიზნების, ამოცანების, სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიდგომების) შესახებ უნდა ჰქონდეთ ერთიანი ხედვა. ევროპასთან ასოცირების პროცესი სრულიად გამორიცხავს ასოცირების შეთანხმების შესრულებისადმი დამოკიდებულებების დაყოფას მრავალ მსოფლმხედველობად და პოზიციად. ყველა ერთად თანხმდება პრინციპზე - პროცესი რთული, რეფორმატორული და, ზოგიერთ შემთხვევაში, მტკივნეულია, თუმცა პროგრესი და განვითარება მიიღწევა სამართლებრივი რეგულირების, ადმინისტრირებისა და აღსრულების ერთიანობით.

ზემოაღნიშნული სულისკვეთებით, ვაყალიბებთ იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც აუცილებელ, პრიორიტეტულ და საკვანძო საკითხებად მიგვაჩნია ასოცირების შეთანხმების მომავალი შესრულების პროცესში.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურულ-სისტემური გააზრება; DCFTA-ის როლი

➤ ასოცირების შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის, კერძოდ, I, II, III კარები (სულ 21 მუხლი) შესრულება არ ითხოვს ეროვნული კანონმდებლობასთან სამართლებრივ დაახლოებას.

პოლიტიკური ნაწილი, რომელიც ფარავს ადამიანის უფლებების დაცვას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. კარგი მმართველობის პრინციპის დამკვიდრებას, კანონის უზენაესობას, უსაფრთხოებას, კრიზისების მართვას, მიგრაციას და თავშესაფარს, რეადმისიას, ტერორიზმთან ბრძოლას, კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას, უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლას, - საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ითხოვს მხოლოდ იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც წარმოშობილია საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობით (გაერო, ევროსაბჭო, შსო და სხვა).

➤ ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოების/legal approximation ვალდებულება მოთხოვნილია ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ნაწილში, კერძოდ, IV კარის (DCFTA) და სხვა კარების ფარგლებში.

ასოცირების შეთანხმების დანართები, აგრეთვე, SPS ქვეკომიტეტის გადაწყვეტილება¹, რომლებშიც ასახულია ევროკავშირის მეორეული კანონმდებლობის წყაროები (რეგლამენტები, დირექტივები, გადაწყვეტილებები) ყველაზე დიდი ოდენობითა და მოცულობით მიემართება ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბების მიზნების, ამოცანებისა და კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას. DCFTA ანუ ასოცირების შეთანხმების IV კარი მოიცავს 22-276 მუხლებს.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი დაახლოება, აგრეთვე, მოთხოვნილია ასოცირების შეთანხმების დარგობრივ ნაწილში, კერძოდ, V და VI კარებში.

ასოცირების შეთანხმების დანართების უმეტესობა, ამავედროულად SPS საკანონმდებლო ღონისძიებათა სია მიეკუთვნება ასოცირების შეთანხმების IV კარს/DCFTA-ს. 34 დანართიდან მხოლოდ 2 დანართი ემსახურება V კარს, 13 დანართი - VI კარს, დანარჩენი კი DCFTA-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლებრივი დაახლოების საქმიანობა ყველაზე დიდი მოცულობით განსახორციელებელია სავაჭრო ურთიერთობების სფეროში.

➤ DCFTA შესაძლებლობას აძლევს საქართველოს გახდეს რეგიონალური მნიშვნელობის ცენტრალური სახელმწიფო და ჰქონდეს უპირატესობა იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებსაც არ აქვთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები.

DCFTA ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გაცვლითი ურთიერთობების სტანდარტების ამაღლების წესრიგს და ითხოვს ბაზრის მარეგულირებელი ნორმების ევროპეიზაციას. ამავედროულად,

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650833>

საქართველოს, DCFTA-ის შესრულებით, შეუძლია არა მხოლოდ საქართველოში სრულად წარმოშობილი საქონელი, არამედ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე წარმოშობილი საქონელი საქართველოში საბოლოო დამუშავებით, აქციოს საქართველოში წარმოშობილ პროდუქტად და ნულოვანი საბაჟო ტარიფით გაიტანოს ევროკავშირის შიდა ბაზარზე.

✚ ამდენად, საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადებისას, აუცილებელ პირობად უნდა იქნეს მიჩნეული DCFTA-თან თავსებადობა და შესაბამისობა. დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ბაზრის ორმაგი სტანდარტით განვითარება.

➤ DCFTA-ის (IV კარის) დროული და სათანადო შესრულება განაპირობებს ევროპასთან ასოცირების პოლიტიკის რეალურ წარმატებას.

DCFTA-ის შესრულების საფუძველზე საქართველოსთვის გაიხსნება მსოფლიოში ყველაზე დიდი სავაჭრო ბაზარი - ევროკავშირის შიდა ბაზარი (500 მილიონი მომხმარებლით); შესაძლებელი გახდება საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება, წარმოებისა და ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, რაც თავის მხრივ, გააძლიერებს ბაზრის სოციალურ განზომილებას, სრულ და ნაყოფიერ დასაქმებას და ღირსეულ შრომას.

✚ ამდენად, დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული DCFTA-ის ნაწილში ვალდებულებათა შესრულების დაყოვნება, ვადების გახანგრძლივება.

➤ ასოცირების კომიტეტისა და ასოცირების ქვეკომიტეტების საქმიანობის ანგარიშგება, მათი გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის ანგარიშების საჯაროობა გამჭვირვალეს ხდის ასოცირების შეთანხმების შესრულების მიმდინარეობის პროცესს.

ასოცირების შეთანხმების IV და VIII კარის თანახმად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბებულია პოლიტიკური დიალოგის ფორმატები - ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტი და ასოცირების ქვეკომიტეტები (ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი², SPS ქვეკომიტეტი,³ საბაჟო ქვეკომიტეტი,⁴ გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტი⁵). კომიტეტი და ქვეკომიტეტები იღებენ გადაწყვეტილებებს. ასოცირების შეთანხმება მათ განუსაზღვრავს კონკრეტული ვალდებულებების სპექტრს.

ასოცირების შეთანხმების შესრულების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს:

➤ ასოცირების კომიტეტის, ასოცირების ქვეკომიტეტების საქმიანობის ანგარიშებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და საჯაროობა, ხოლო მათი შეხვედრების საოქმო ჩანაწერების ხელმისაწვდომობა - მოთხოვნის საფუძველზე;

➤ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე ასოცირების კომიტეტისა და ასოცირების ქვეკომიტეტების განახლებული შემადგენლობის დამტკიცების ან შემადგენლობაში ცვლილების თაობაზე ნორმატიული აქტების გამოქვეყნება.

² 240-243 მუხლები, ასოცირების შეთანხმება.

³ სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტი, მუხლი 65, ასოცირების შეთანხმება.

⁴ მუხლი 74, ასოცირების შეთანხმება

⁵ მუხლი 179, ასოცირების შეთანხმება

➤ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან IV კარის შესრულების პლიერი და DCFTA--ის ცოდნაზე დამყარებული რეალური მონიტორინგი განაპირობებს ევროპასთან ასოცირების პროცესის ხელშეწყობას.

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ასოცირების შეთანხმების ყველა იმ ნაწილის შესრულების მონიტორინგზე, რომელთა ფარგლებში უშუალოდ მოთხოვნილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და რომლებსაც ერთვის დანართები, კერძოდ, IV, V და VI კარები. ამასთან, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გაძლიერდეს DCFTA-ის კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ჩამოყალიბება.

სამართლებრივი დაახლოების პროცესის სრულყოფა

➤ ეტაპობრივი დაახლოება/gradual approximation:

სამართლებრივი დაახლოება/legal approximation უნდა განხორციელდეს იმ მიზნების, ამოცანებისა და კონკრეტული ვალდებულებების ფარგლებში, როგორც ეს ასოცირების შეთანხმებით და მისი დანართებითაა განსაზღვრული.

სამართლებრივი დაახლოება უნდა განხორციელდეს იმ ვადებში, როგორც ეს ასოცირების შეთანხმებითაა განსაზღვრული.

სამართლებრივი დაახლოების ვალდებულებათა შესრულებაში/implementation იგულისხმება საქართველოს ნორმატიული აქტების ამოქმედება, რასაც, წინ უნდა უსწრებდეს:

- ა) ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებული ნორმატიული აქტის შემუშავება;
- ბ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა;
- გ) ნორმატიული აქტის ამოქმედებისთვის აუცილებელი ადმინისტრირების მექანიზმების ჩამოყალიბება.

ასოცირების შეთანხმების 417-ე, 418-ე, 419-ე მუხლების შინაარსის, ასევე, ასოცირების შეთანხმების დანართში ასახული შესაბამისობის ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულება გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული საქართველოს ნორმატიული აქტის ამოქმედებას და არა მხოლოდ ძალაში შესვლას. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია ყველა იმ კანონის, კანონის დებულების, საქართველოს მთავრობის დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების მონიტორინგი, რომლებიც მიღებულია ასოცირების შეთანხმების ვალდებულებათა საფუძველზე და ძალაშია შესულია, თუმცა მათი ამოქმედების ვადები არ ემთხვევა ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებს.

✚ ამდენად, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადა უნდა ემთხვეოდეს საქართველოს ნორმატიული აქტის ამოქმედების ვადას (და არა ძალაში შესვლის ვადას).

➤ **დინამიური დაახლოება/dynamic approximation**

სამართლებრივი დაახლოება უნდა განხორციელდეს ევროკავშირის იმ ნორმებსა და სტანდარტებთან, რომლებიც მოქმედი და ვალიდურია. ამიტომაც, ასოცირების შეთანხმების დანართების გადახედვა (რომლებიც შეიცავს გაუქმებულ/ანულირებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებს) ან ევროკავშირის ახალი აქტების გამოყენება საჭიროებს კონკრეტული მექანიზმის ან პროცედურის ჩამოაყალიბებას, რაც საყოველთაო და ერთიანი იქნება ყველა საჯარო დაწესებულებისთვის.

➤ **უწყებრივი კოორდინაცია და საქმიანობის პარალელიზმის პრევენცია**

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ:

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის საპარლამენტო ურთიერთობები მიმდინარეობს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ფორუმს და რომლის გადაწყვეტილებას არ აქვს სავალდებულო ძალა;
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამთავრობო დონის ურთიერთობები მიმდინარეობს ასოცირების საბჭოს ფარგლებში, რომელთა გადაწყვეტილებები შესასრულებად სავალდებულოა;
- ასოცირების შეთანხმების შესრულების პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ამ მიზნით მყარდება უშუალო და მჭიდრო კომუნიკაცია ევროკავშირის მთავრობას - ევროპულ კომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის.

მიზანშეწონილია:

- ასოცირების შეთანხმების შესრულების სამოქმედო გეგმების მიღება მხოლოდ საქართველოს მთავრობის პრეროგატივას წარმოადგენდეს;
- საქართველოს პარლამენტმა გააძლიეროს შესაძლებლობები ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგის, საკანონმდებლო საქმიანობისა და საკანონმდებლო ინიციატივების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასების მიმართულებით; მიიღოს მონიტორინგის სამოქმედო გეგმები;
- ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობის დაწყებისთანავე, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა ითანამშრომლოს იმ სამთავრობო უწყებასთან, რომელიც პოტენციური აღმასრულებელია ან, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წლიური სამოქმედო გეგმით, განსაზღვრულია პასუხისმგებელ უწყებად იმ სფეროში, რა სფეროსაც მიემართება ინიციატივა.

➤ **შინაარსობრივი კოორდინაცია**

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის მიზნებთან, ამოცანებთან, კონკრეტულ ვალდებულებებსა და ვადებთან.

➤ **შესრულების ვადები**

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ასოცირების შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს, შეთანხმების უდიდეს ნაწილზე, მათ შორის, DCFTA-ზე, გავრცელდა ძალაში შესვლის დროებითი გამოყენების რეჟიმი 2014 წლის 1 სექტემბრიდან.⁶ აღნიშნულის საფუძველზე, ასოცირების საბჭომ მიიღო 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგი, საქართველოს მთავრობამ ყოველწლიური სამოქმედო გეგმების მიღება დაიწყო 2014 წლიდან, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა 2014-2017 წლების DCFTA-ს შესრულების სამოქმედო გეგმა.

✚ ამდენად, ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების შესრულების ვადები, უმრავლეს შემთხვევაში, აითვლება 2014 წლიდან და არა 2016 წლიდან.

➤ **თარგმანი**

ასოცირების შეთანხმების თანახმად, სამართლებრივი დაახლოების პროცესში, უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების ზუსტი თარგმანი.

✚ ამდენად, აუცილებელია საქართველოს ნორმატიული აქტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას ან საქართველოს პარლამენტს, თან ერთვოდეს ევროკავშირის დირექტივის, რეგლამენტის, გადაწყვეტილებისა თუ რეკომენდაციის ოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე.

➤ **შესაბამისობის ცხრილი**

მიზანშეწონილია, საკანონმდებლო/კანონშემოქმედებით საქმიანობაში ინტეგრირებულ იქნეს სამართლებრივი დაახლოების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი ინსტრუმენტები და მექანიზმები, მათ შორის, **შემუშავდეს შესაბამისობის ცხრილის მოდელი**, რომელიც სავალდებულო წესით თან დაერთვება ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული ყველა ნორმატიული აქტის პროექტს.⁷

⁶ იხ. ნოტიფიკაციის ტექსტი.

⁷ იხ. ქარდავა ე., სამართლებრივი დაახლოება - სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, საქართველოს პარლამენტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ასოციაცია „ევროპის დროით“, თბილისი, 2017.

სამართლებრივი დაახლოების პროცესის ინსტიტუციონალიზაცია

➤ მაკოორდინირებელი სამსახური

მიზანშეწონილია, შეიქმნას სამართლებრივი დაახლოების დამოუკიდებელი სამსახური, რომლის უფლებამოსილებაში შევა:

- სამართლებრივი დაახლოების მიმართულებით საქართველოს სამინისტროების საქმიანობის კოორდინაცია;
- ნორმატიული აქტის პროექტის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებებთან შესაბამისობის შესწავლა და შეფასება;
- ნორმატიული აქტის პროექტის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასება (compliance-checking);
- სამართლებრივი დაახლოების პრინციპებისა და პროცესის ერთიანობისა და განუყოფლობის უზრუნველყოფა;
- ინდივიდუალური, ამავდროულად, გუნდური თანამშრომლობის საფუძველზე, სამართლებრივი დაახლოების პროცესის რეგულირება და სრულყოფა სამინისტროების დონეზე;
- სხვა.

მიზანშეწონილია, სამართლებრივი დაახლოების დამოუკიდებელი სამსახურის დასკვნა სავალდებულო წესით თან ერთვოდეს ნორმატიული აქტის პროექტს.

➤ სამინისტროები

მიზანშეწონილია, თითოეულ სამინისტროში შეიქმნას ან/და გაძლიერდეს ევროკავშირის სამართლისა და სამართლებრივი დაახლოების სტრუქტურული ერთეულები.

➤ საჯარო სამსახური

მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტში, ასევე, ნებისმიერ სამთავრობო საჯარო დაწესებულებაში გაძლიერდეს ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებული იქნება შედარებით-სამართლებრივ საქმიანობაზე, ამავდროულად, ევროკავშირის პრაქტიკის შესწავლაზე, რაც, სასურველია, წინ უსწრებოდეს სამართლებრივი დაახლოების საქმიანობის და ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავების პროცესის დაწყებას იმ მიზნით, რომ ნორმატიული აქტის პროექტმა გაითვალისწინოს ევროპული გამოცდილება სამართლებრივ თუ პრაქტიკულ დონეებზე.

მიზანშეწონილია, შეიქმნას სამართლებრივი და ფინანსური გარანტიები იმ საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან სამართლებრივი დაახლოების პროცესში, კერძოდ,

ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, არ მოხდეს მათი გადინება საჯარო სამსახურიდან და გათავისუფლება ან გადაყვანა რეორგანიზაციის შედეგად.

მიზანშეწონილია იმ საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმის ზრდის მიზნით ინტენსიური უფასო საგანმანათლებლო კურსების უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამართალი, ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ისტორია, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოება, უცხო ენები და სხვა), რომლებიც ჩართულნი არიან სამართლებრივი დაახლოების პროცესში.

საინფორმაციო საქმიანობა

მიზანშეწონილია, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, სპეციალური სატელევიზიო გადაცემის ან ჩანართის ორგანიზება, რომელიც საქართველოს მოსახლეობას კვირაში ერთხელ მიაწოდებს ინფორმაციას ევროპასთან ასოცირების პროცესისა და ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე. გადაცემის ან ჩანართის ფარგლებში, საქართველოს საჯარო მოხელეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა აუწყონ და აუხსნან საქართველოს მოქალაქეებს მიმდინარე ცვლილებებისა და რეფორმების საფუძვლები, არსი და მიზნები.

დოკუმენტში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. იგი არ ასახავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხედვას.
@ 2018

ფინანსთა სამინისტროს აკადემია, 2261026, <http://www.mofacademy.ge/>

ეკატერინე ქარდავა, 593277514, eka_kardava@yahoo.com